



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქახალციხე

`` 27 `` `` იანვარი `` 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში ``სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი``) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ``თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი``), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ ავთანდილ დელაღუტაშვილის სახით, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ ახალგაზრდა თაობების განათლებისა და დახელოვნების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

### მუხლი 1

მემორანდუმის მიზანია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა და საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გზით თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

### მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები თანხმდებიან ერთობლივად უზრუნველყონ:

- სამეცნიერო კვლევების ჩატარება;
- სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;
- სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და გამოქვეყნება;
- საჯარო ლექციების წაკითხვა;
- სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- მემორანდუმის მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი  
პროფესორი

მერაბ ბერიძე



ბ.ა



რექტორი  
პროფესორი

ავთანდილ ღელაღუტაშვილი

